წერილის ნომერი: **30-302327669**
თარიღი: **03/10/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 12 სექტემბრის NGOV 2 23 00026382 წერილის საფუძველზე.

მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში, ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ

განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2023 წლის ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

ცნობა

,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2023 წლის --- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2023 წლის ოქტომბერი
ქ. ლანჩხუთი

,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 25/08/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.112.016520) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების პირველი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) დადგენილების პირველი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„მუხლი 8. გასაჩივრების წესი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი/მიღებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, საჩივრდება ზემდგომ ორგანოში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი მხარისთვის ჩაბარებიდან, 10 დღის ვადაში.

2. საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი/მიღებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი საჩივრდება სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი მხარისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

3. ამ წესის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჩივრდება სასამართლოში.

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ამ კოდექსის 234[1] მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.“

გ) დადგენილების პირველი მუხლის ,,ბ“ პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ი ,,საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, დანართი N2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ნაწილი I საჯარიმო ქვითარი N ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ბ.ა. 1. შედგენის თარიღი: ---------- (რიცხვი, თვე, წელი) 2. შედგენის ადგილი: ---------- 3. ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი: ---------- _____ _____ 4. დამრღვევის მონაცემები: ---------- _____ ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი _____ ---------- იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება მისი დასახელება, მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი _____ _____	ნაწილი II საჯარიმო ქვითრის ყუა N (ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში) 1.---------- (გადამხდელის სახელი და გვარი) 2. ---------- (გადამხდელის მისამართი) 3. ---------- (ჯარიმის ოდენობა)

5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი: ----------

6.1. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ---------- მუხლის ---------- ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ---------- ლარის ოდენობით.

6.2. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ---------- მუხლის -------- ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ---------- ლარის ოდენობით.

7. ----------

მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი მონაცემები

8. ოქმს ერთვის დამრღვევის ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი და სხვა:

(ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტისა და სხვა დოკუმენტის არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა)

9. მიმღები მოლარე: ---------- ----------

(ხელმოწერა და თარიღი) (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)

მოწმის ხელმოწერა: ----------

ოქმის შემდგენლის ხელმოწერა: ----------

4.1.----------

(ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი)

4.2. ----------

(ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი)

5. ----------

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი)

6. ----------

(საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)

7. მიმღები მოლარე: ----------

(ხელმოწერა)

8. შემომტანი: ----------

(ხელმოწერა)

ბ.ა.

9. თარიღი: ----------

სამართალდამრღვევი: ----------	(რიცხვი, თვე და წელი)
(ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა)	საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული თავისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული გადაწყვეტილება (ბრძანება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლითა და ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. მოქალაქეს მიეწოდა ინფორმაცია სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრების 10-დღიანი ვადისა და გასაჩივრების ადგილის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამკვეთი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

დამამზადებელი:

სემგს-ს რეგისტრაციის №“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

MES 4 23 0001246074

27/09/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში თქვენი N30-302326924 (26.09.2023) წერილით (სამინისტროში რეგისტრაციის N1238071; 26.09.2023) ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად განმეორებით შემოვიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ ფორმის ნიმუში.

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განხილულ იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ფორმის ნიმუში და მის ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოადგილე
ნოდარ პაპუკაშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **31-31232562**
თარიღი: **13/09/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

გიგზავნით,საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, ბატონ რევაზ ჯაველიძის წერილს.

გთხოვთ, უმოკლეს ვადაში წარმოადგინოთ თქვენი წინადადება.

დანართი; 3 (სამი)ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

GOV 2 23 00026382

12/09/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს №17 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

განსახილველ დადგენილებაში არ არის დაცული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 209^3 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა. კერძოდ, დადგენილებაში არ არის განსაზღვრული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან სხვა უფლებამოსილი პირი, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კოდექსის 209^3 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მუხლებით შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებულ საჩივარზე. აღნიშნულის ნაცვლად №1 დანართით წარმოდგენილი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილია, რომ საჩივარს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია, რაც არ შეესაბამება კოდექსს.

ასევე, დადგენილების პრეამბულაში აქტის გამოცემის ერთ-ერთ საკანონმდებლო საფუძვლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლი ს სრულად დასახელების მიუხედავად, დადგენილების №1 დანართის მე-8 მუხლის პირველ პუნქტსა და №2 დანართით წარმოდგენილი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის განმარტებით ნაწილში მითითებულია, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი, მისი მხარისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჩივრდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განმხილველი უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები) ზოგადი სახით არის რეგლამენტირებული სასკ-ის XV თავში, XVI თავში კი („ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობა“) მოცემულია სასამართლოებისა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ქვემდებარეობაში არსებული სამართალდარღვევების დეტალური მუხლობრივი ჩამონათვალი. მათ შორის, 208-ე მუხლში ჩამოთვლილია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ქვემდებარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სადაც მუნიციპალიტეტის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელებიც შედის. 209^3 მუხლ ის მე-4 ნაწილში კი მოცემულია კოდექსის იმ მუხლების ჩამონათვალი (55^2, 55^5, 55^6, 64^2, 77^1, 77^2, 103-ე და 107^4 მუხლები, 114^2 მუხლის მე-6 ნაწილი, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილები, 125^2 მუხლი, 125^3 მუხლის მე-4–5^1 ნაწილები, 125^4 მუხლი, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 134^1, 135-ე–135^5, 146^1, 148-ე და 150^1–150^3 მუხლები, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 151^1, 151^2, 152-ე, 152^2–152^9 და 153^4 მუხლები, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილები, 153^9, 158^3 და 158^4 მუხლები, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები და 159-ე და 159^1 მუხლები), რომელთა დარღვევისთვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) გასაჩივრებაც ხდება ზემდგომ ორგანოში - თანამდებობის პირთან. ამდენად, განსახილველი დადგენილების ზემოთ დასახელებულ დანართებში ჯარიმის გასაჩივრების ადგილი/ორგანო უნდა მიეთითოს კოდექსის 208-ე მუხლისა და 209^3 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე

მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი
რევაზ ჯაველიძე